# გაუმარჯოს 1 მაისს — იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისთვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისთვის ბრძოლაში მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს!


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 85 (3569)

1 მაისი. 1968 წ. ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.


ნახატი გ. იაშვილისა.




## ეს მე ვარ, მაისი!

ეს მე ვარ, მოვდივარ,
პირველი მაისი,
ლურჯი ცის ღიმილი
და მიწის ვარდობა,
ეს მე ვარ — სიცოცხლე,
ეს მე ვარ — ხალისი,
მამულის სიმღერა და
ახალგაზრდობა!
მე მქვია შრიალი
წითელი დროშების,
ეს მე ვარ, ცაზე რომ
შუქურად ვანთივარ,
ეს მე ვარ, ოცნებით
ნაგები კოშკები
და ღიმით გავცქერი
სამშობლოს განთიადს.
ეს მე ვარ, ეს მე ვარ
შენი მზის ალერსი,
მე შენი სუნთქვა ვარ
და შენი ხალისი;
— მამულო, ძვირფასო,
გაშალე მკლავები,
მიცანი, მოვედი წითელი
მაისი!

დანიელ ხახიაშვილი.

## ტიტულების მიუხედავად

მოსკოვი, 30 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). სამხედრო-მონადირეთა საზოგადოების სასროლეთზე (სადგურ სევერიანინის მახლობლად) გაიმართა მესტენდურეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ბელგიის, გდრ-ის, რუმინეთის, საფრანგეთის, პოლონეთის, იტალიისა და სსრ კავშირის გუნდები. ცეცხლის ხაზზე ჩვენი კონტინენტის ყველა საუკეთესო სპორტსმენმა მოიყარა თავი: გამარჯვებისთვის იბრძოდნენ ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ე. მატარელი (იტალია), მსოფლიოს ჩემპიონი გ. რენარი (ბელგია), ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო პირველობის პრიზიორები ა. სმელჩინსკი (პოლონეთი), ლ. როსინი (იტალია), ი. დუმიტრესკუ (რუმინეთი) და სხვ.

სსრ კავშირის ღირსებას იცავდნენ მსოფლიო რეკორდსმენი ნ. დურნევი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვ. ზიმენკო, ოლიმპიური ნაკრების წევრები ე. პეტროვი, ი. ცურანოვი, პ. სენიჩევი, კ. დარასელია, ა. ალიპოვი... ფაქტიურად, ეს შეჯიბრება მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატს წარმოადგენდა და მეხიკოს ოლიმპიური თამაშებისთვის ძალთა მორიგ შემოწმებად გადაიქცა.

ტურნირი გაიმართა ადგილიდან და მრგვალ სტენდზე სროლაში. პირველ სერიაში მატარელის არ გაუმართლა — 25 სამიზნედან მხოლოდ 16 დაამსხვრია. ასეთივე შედეგი ჰქონდა რენარსაც, მაშინ, როცა მასპინძლებმა სენიჩევმა და ალიპოვმა ყველა სამიზნეს მოახვედრეს. მეორე და მესამე სერიებში სენიჩევმა 24 და 22 ქულა დააგროვა, ალიპოვმა 24 და 21, მაგრამ მატარელიმ და რენარმაც გამოასწორეს მდგომარეობა.

პირველ დღეს 100 სამიზნის მილევის შემდეგ სენიჩევი დაწინაურდა. მან 96 სამიზნე დაამსხვრია. ლიდერს 4-4 ქულით ჩამორჩებოდნენ სოხუმელი საერთაშორისო ოსტატი კ. დარასელია და ალიპოვი. სტუმრები უფრო უკან იყვნენ. მრგვალ სტენდზე სროლაში ლიდერობა ხელთ იგდეს ცურანოვმა და ე. გოლუბევმა.

ქარი მეორე დღესაც ქროდა, რაც საგრძნობლად აფერხებდა მაღალი შედეგების ჩვენებას.

ორივე სახეობაში გამარჯვება მასპინძლებმა იზეიმეს. ადგილიდან სროლაში პირველობა მოიგო ოლიმპიური თამაშების პრიზიორმა სენიჩევმა, რომელმაც 200-დან საბოლოოდ 189 ქულა დააგროვა. მრგვალ სტენდზე უძლიერესი აღმოჩნდა ცურანოვი — 195. როგორც ადგილიდან, ისე მრგვალ სტენდზე სროლაში გუნდური გამარჯვებაც მასპინძლებს დარჩათ (შესაბამისად 737 და 750 ქულა).

## სსრ კავშირის ოლიმპიური განაცხადი

სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტი მეხიკოს დედაქალაქში გაგზავნის განაცხადს XIX ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა სპორტსმენების მონაწილეობის თაობაზე.

ეს გადაწყვეტილება კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო 29 აპრილს, მას შემდეგ, რაც განიხილა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტის ცნობა კომიტეტის აღმასკომის ლოზანის სხდომის შედეგებზე. როგორც ცნობილია, ამ სხდომაზე უარყოფილ იქნა თებერვლის რეზოლუცია ოლიმპიადაში რასისტული სამხრეთ აფრიკის მონაწილეობის შესახებ, რომლის წინააღმდეგაც მუდამ გადაჭრით ილაშქრებდნენ საბჭოთა სპორტული ორგანიზაციები.

## ფედერაციის საბჭო ოლიმპიური კონგრესის მომხრეა

ლოზანა, 29 აპრილი. გუშინ აქ დამთავრდა საერთაშორისო სპორტული ფედერაციის საბჭოს სხდომა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ოლიმპიური კონგრესის აუცილებელი მოწვევის თაობაზე. ეს კონგრესი 1930 წლიდან არ შეკრებილა.

ამ ღონისძიების ჩატარება ნიშნავს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის, ყველა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და სპორტული ფედერაციის შეხვედრას. როგორც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ვესტერჰოფმა განაცხადა, საბჭომ წინადადება წამოაყენა, რომ IX კონგრესი 1971 წელს ჩატარდეს მიუნხენში. ეს საშუალებას მისცემს დელეგატებს, ესტუმრონ ქალაქს, სადაც 1972 წლის ოლიმპიური თამაშებია დაგეგმილი.

## კოზოქევამაც მეოთხედ!

ჩელიაბინსკი, 29 აპრილი. დღეს აქ დამთავრდა წყალში მხტომელთა საკავშირო შეჯიბრება გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე. ტრამპლინიდან ხტომაში ქალთა შორის გაიმარჯვა თ. პოგოჟევამ, რომელმაც 149,85 ქულა დააგროვა. ისევე, როგორც თბილისელი ბ. პოლულიახი, ისიც მეოთხედ გახდა ამ პრიზის მფლობელი. II ადგილზეა ვ. ბაკლანოვა — 139,59, III — ნ. ლობანოვა — 136,62. კოშკიდან ხტომაში ვაჟთა შორის პირველი იყო ვ. რუსაკოვი — 146,65. II ადგილზე გავიდა ვ. პოგოჟევი, III — ი. მელნიკოვი. გუნდურ ჩათვლაში მთავარი პრიზი მოიპოვეს დინამოელებმა.

# ზეიმი ეშერის იპოდრომზე







სოხუმის მოსახლეობა ამას წინათ უჩვეულო სანახაობის მოწმე გახდა. ქუჩებში მიმავალ სატვირთო ავტომანქანებზე... ცხენები ამხედრებულიყვნენ. რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონის საცხენოსნო სპორტული კლუბების წარმომადგენლები ეშერის იპოდრომზე იყრიდნენ თავს, სადაც რამდენიმე დღის შემდეგ ცხენოსანთა შეჯიბრება ჩატარდებოდა. მონაწილეები უნდა გაცნობოდნენ იპოდრომს, დაბრკოლებებს, შეჩვეოდნენ ცხენებს.

ოთხ დღეს გრძელდებოდა საქართველოს პირადი პირველობა დაბრკოლებათა გადალახვაში და აფხაზეთის „კოლმეურნის" პირად-გუნდური ჩემპიონატი ეროვნულ და კლასიკურ სახეობებში. ასპარეზობაში მონაწილეობდა ქალაქების თბილისის, ზუგდიდისა და ცხაკაიას, აგრეთვე, გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის, სოხუმისა და გუდაუთის რაიონების ნაკრები გუნდების 80-ზე მეტი მხედარი.

განსაკუთრებით რთული იყო უმაღლესი კლასის დაბრკოლებათა გადალახვა „გახსნის პრიზზე". აქ ყველას აჯობა გუდაუთის რაიონის წარმომადგენელმა, სპორტის ოსტატმა ვ. შაკრილმა, რომელმაც აფხაზეთის ჩემპიონობა დაისაკუთრა.

დაბრკოლებათა გადალახვაში აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თასი მოიპოვა ახალგაზრდა გალელმა მხედარმა მ. ლაბაშიამ, რომელმაც სპორტის ოსტატის კანდიდატის ნორმაც შეასრულა.

დაბრკოლებათა გადალახვაში დიდად გამოცდილია საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი, სპორტის საპატიო ოსტატი დ. ხოფერია (გულრიფში). მან მრწყინვალედ გაიმარჯვა „სამონადირო პარკურსა" და ამორჩევით დაბრკოლებათა გადალახვაში. ხოფერიას ხვდა წარმატება სამჭიდშიც.

„ამერიკულ პარკურში" პირველი იყო გუდაუთელი სპორტის ოსტატი ა. ლაკერბაია.

თბილისელთაგან გაიმარჯვა მხოლოდ ერთმა — სპორტის ოსტატმა ა. მანჯავიძემ, რომელმაც ყველას აჯობა 6 დაბრკოლების გადალახვაში, მანვე დაისაკუთრა საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონის წოდება ამ სახეობაში.

საინტერესო იყო დოღი ორ კილომეტრზე. ფინიშთან პირველი იყო გულრიფშელი ს. შენგელია — 2.05,0. 3-კილომეტრიან დოღსა და 7 კილომეტრზე მარულაში ტოლი არ ჰყავდა გუდაუთელ ვ. ბლაბას. 8-კილომეტრიან მარულაში ყველას აჯობა ბ. ვვკუამ.

ისინდში გამარჯვება გუდაუთის რაიონის გუნდს დარჩა, ცხენბურთში — ოჩამჩირის რაიონის კოლექტივს.

საერთო გუნდური პირველობა მოიგეს ოჩამჩირელებმა. საქართველოსა და აფხაზეთის მრავალგზის ჩემპიონი — გუდაუთის რაიონის გუნდი II ადგილს დასჯერდა. III ადგილზე გავიდნენ გალელები.

ვ. სემიონოვი.
(ჩვენი კორ.).

სოხუმი.

• • •

სურათებზე: მარცხნივ ზევით — დაბრკოლებათა გადალახვაში „გახსნის პრიზზე" გამარჯვებული გუდაუთელი სპორტის ოსტატი ვ. შაკრილი; მარჯვნივ — ცხენბურთელთა ასპარეზობის მომენტი; ქვევით — ისინდი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

---

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

## მივბაძოთ თერჯოლის, ამბროლაურის, ცაგერის, ხობის, ონის, საჩხერის, აბაშის, ორჯონიკიძის, მახარაძის, ასპინძის და ვანის რაიონებს!

ამ დღეებში ჩატარდა საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც განიხილა რესპუბლიკაში ოლიმპიური სპორტული ლატარიის ბილეთების რეალიზაციის საკითხი. პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ცალკეული რაიონებისა და ქალაქების სპორტკავშირებმა, სპორტსაზოგადოებებმა და უწყებებმა კარგად გაართვეს თავი ვალდებულებას: კომკავშირული, პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარებით საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს, ვადამდე შეასრულეს ბილეთების რეალიზაციის გეგმა. მოწინავეთა შორის არიან თერჯოლის (რეალიზაციის გეგმა მთლიანად შეასრულა 2 თებერვლისთვის), ამბროლაურის (15 თებერვალი), ცაგერის (20 თებერვალი), ხობის (25 თებერვალი), ონის (5 მარტი), საჩხერის (6 მარტი), აბაშის (17 მარტი), ორჯონიკიძის (29 მარტი), მახარაძის (15 აპრილი), ასპინძის (15 აპრილი), ვანის (20 აპრილი) რაიონების სპორტკავშირები.

წარმატებით მუშაობენ აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, თბილისის, ჭიათურის, რუსთავის, ტყიბულის, გორის, ფოთის, დუშეთის, ახმეტის, ქარელის, სამტრედიის, ხაშურის, წყალტუბოს, დმანისის, ბორჯომის, ბოლნისის, მცხეთის, ჩოხატაურის, წალკის, მაიაკოვსკის, სიღნაღის, წითელწყაროს, ყვარლის, კასპის, ზესტაფონის, თეთრი წყაროს, გარდაბნის, გეგეჭკორის, თელავის, მესტიის სპორტკავშირები, „სპარტაკი", „განთიადი", „ბურევესტნიკი", „ლოკომოტივი", „შრომითი რეზერვები", თბილისის სპორტის სასახლე და სპორტული მაღაზიები.

მაგრამ ზოგიერთი რაიონი და ქალაქი ბილეთების რეალიზაციის საქმეში ჯერ კიდევ ჩამორჩება (მაგალითად, წულუკიძის, ლაგოდეხის, ზუგდიდის, გორის, ახალციხის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, გურჯაანის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ლენტეხის რაიონების სპორტკავშირები).

სხდომაზე ითქვა, რომ ოლიმპიური ლატარიის ბილეთების რეალიზაციას თავი ვერ მოაბეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის (სპორტკავშირის თავმჯდომარე ა. თედეევი), ხაგარეჯოს (გ. ელერდაშვილი), თიანეთის (გ. მიჩიტაშვილი), ადიგენის (მ. ჯეირანაშვილი), ცხაკაიას (მ. ჩიქობავა), მარნეულის (თ. ჯაფარიძე), ყაზბეგის (ი. ლუდუშაური) რაიონების სპორტკავშირებმა.

ოლიმპიური ლატარიის ბილეთების უკეთ რეალიზაციის მიზნით საქართველოს სსრ სპორტკავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა:

დაევალოს სპორტკავშირისა და ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა საბჭოებს, საუწყებო ფიზკულტურულ ორგანიზაციებს მიიღონ სათანადო ზომები ოლიმპიური სპორტული ლატარიის ჩატარებისთვის ხელშემწყობი კომიტეტების მუშაობის გასაუმჯობესებლად, გაითვალისწინონ, რომ სპორტული ლატარიის ჩატარების ხელშემწყობ კომიტეტს ევალება:

განიხილოს ლატარიის ბილეთების რეალიზაციის მსვლელობის საკითხი და დასახოს პრაქტიკული ღონისძიებები მისი მნიშვნელოვნად გაუმჯობესებისთვის;

მიაღწიოს, რომ ლატარიის ბილეთები იყიდებოდეს არა მარტო ფიზკულტურულ კოლექტივებში, არამედ მის გარეთაც — ყველა სახის სპორტულ ბაზებზე, სტადიონებზე და მოედნებზე, სპორტულ მაღაზიებში, ქუჩებში, ტრანსპორტში, კინოთეატრებში, კაფეებში და ხალხმრავალ ადგილებში;

უფრო ფართოდ გაშალოს რეკლამა სპორტული ლატარიის მნიშვნელობისა და პირობების პროპაგანდისთვის, რისთვისაც გამოიყენოს ადგილობრივი პრესა და სარეკლამო პლაკატები, ფურცლები, მოწოდებები, რადიოგადაცემები და ტელეფილმები;

ლატარიის ბილეთების გაყიდვაში ჩააბას მოწინავე, გამოჩენილი სპორტსმენები, ფიზკულტურული აქტივიდან შეარჩიოს მარჯვე, მოხერხებული საზოგადოებრივი გამავრცელებლები, რომლებიც დროულად უნდა დაჯილდოვდნენ დადგენილი პრემიით (საზოგადოებრივი გამავრცელებლების დაჯილდოება მოხდეს ხელშემწყობი კომიტეტების დადგენილებით).

დაევალოთ ლატარიის ხელშემწყობი კომიტეტების თავმჯდომარეებს ფართოდ გამოიყენონ ადგილობრივი კომკავშირული, პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარება და მათთან კავშირით მიაღწიონ ლატარიის ბილეთების ინტენსიურ რეალიზაციას.

ლატარიის ბილეთების რეალიზაციის კარგი ორგანიზაციისა და გეგმის ვადამდე შესრულებისთვის გამოეცხადოთ მადლობა და დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით: ა. ჩარექიშვილი (თერჯოლის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე), ა. ვაჩიძე (ამბროლაური), კ. ხვედელიანი (ცაგერი), ა. მელიქია (ხობი), შ. ქოჩლაძე (ონი), დ. გოშაძე (საჩხერე), ს. ტყებუჩავა (აბაშა), ა. მაჭავარიანი (ორჯონიკიძე), თ. კიშინსკი (მახარაძე), ვ. ცინაძე (ასპინძა), ლ. ძებაშვილი (ვანი).

---

## სამ წელიწადში...

ამ დღეებში ჭიათურაში ჩატარდა „განთიადის" საქალაქო საბჭოს პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. შეჯიბრების მონაწილე 11 გუნდი ორ ქვეჯგუფად დაიყო.

ფინალში „შახტმშენის" სამშენებლო სამმართველოს გუნდმა ანგარიშით 3:1 დაამარცხა ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოს კოლექტივი.

ორი გუნდი გამოიყვანა ლენინის სახელობის მაღაროთა სამმართველომ. პირველმა III საპრიზო ადგილი დაიკავა, მეორემ — V.

ბოლო სამ წელიწადში ეს ერთადერთი დიდი შეჯიბრებაა მაგიდის ჩოგბურთში, რომელიც აქ გაიმართა.

თ. ზეყილაძე.
(ჩვენი კორ.).

ჭიათურა.

---

# თავდიდიშვილის 3 რეკორდი

ოდესა (ჩვენი კორ.). ტყვიის მსროლელთა საკავშირო შეჯიბრების ბოლო ვარჯიშებმა საქართველოს სპორტსმენებს ახალი გამარჯვება მოუტანა. ჩვენ უკვე გაცნობეთ გ. თავდიდიშვილის წარმატება „მაქცეულ ირემზე" 50 ორმაგ გასროლაში. ახლა დავუმატებთ, რომ თბილისელმა სპორტსმენმა გამოცდა 25 ორმაგი გასროლით უკეთესად ჩააბარა: ამ ვარჯიშში 234 ქულა დააგროვა და ოქროს მედალი მოიპოვა. ეს შედეგი 2 ქულით სჯობს მისსავე შარშანდელ რესპუბლიკურ რეკორდს და საერთაშორისო სპორტის ოსტატის ნორმატივს.

მაგრამ ეს თავდიდიშვილის ბოლო წარმატება არ იყო. „გაქცეულ ირემზე" 50 ერთმაგი და 25 ორმაგი გასროლის ჯამში პირველობა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელს ვ. პოსტოიანოვს (470) ხვდა, მაგრამ 19 წლის თბილისელმა სპორტსმენმა აქ 466 ქულა მოაგროვა, რაც 17 ქულით აღემატება მის რესპუბლიკურ რეკორდს. კომპლექსში თავდიდიშვილმა II ადგილი დაისაკუთრა, ამრიგად, ოდესაში ქართველმა სპორტსმენმა გააუმჯობესა რესპუბლიკის სამივე რეკორდი „ირემზე" სროლაში, თანაც, საერთაშორისო დონემდე აიყვანა ეს შედეგები.

საბრძოლო ნებისმიერი შაშხანით შეჯიბრება კომპლექსური იყო. მონაწილენი ერთ დღეს სტანდარტზე (3×20)ისროდნენ, მეორე დღეს კი მათ დამატებით ეძლეოდათ ჩოქელა და დგომელა 40-40 გასროლის უფლება. სტანდარტში თავიდან ვ. კორნევი (რსფსრ) დაწინაურდა (571 ქულა), მაგრამ მეორე დღეს პოზიცია დათმო. სამაგიეროდ, მისმა თანაგუნდელმა ვ. ვლასოვმა, რომელიც სტანდარტში კორნევთან 7 ქულით იგებდა (564 ქულა), ჩოქელა 382, დგომელა კი 368 ქულა მოაგროვა, კომპლექსში 1314 ქულა აჩვენა და პირველობაც დაისაკუთრა. თბილისელ ვეტერანს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ შ. ქველიაშვილს სტანდარტის შემდეგ 565 ქულა ჰქონდა, მეორე დღეს კი შესაბამისად 383 და 357 ქულა დააგროვა, რამაც საბოლოოდ III საპრიზო ადგილი მოუტანა — 1305 ქულა. მეორე იყო ი. გერასიმენკო (უკრაინა)—1306.

მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა სროლაში ქალებიდან ყველას აჯობა თბილისელმა ლ. ჟურულმა.

ამით დამთავრდა ათდღიანი ტურნირი. როგორც ვაუთა, ისე ქალთა შეჯიბრებაში პირველობა და გარდამავალი პრიზები რსფსრ-ს სპორტსმენებმა მოიპოვეს. მათვე ხვდათ გამარჯვება საერთო გუნდურ ჩათვლაში.

გ. მარჩუკოვი.

## გათამაშების ცხრილი

### III ქვეჯგუფი

მდგომარეობა 1 მაისისთვის

## „ა" კლასი II ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (მახაჩყალა) | 5 | 3 | 2 | 0 | 4—0 | 8 |
| „თერგი" (გროზნო) | 4 | 3 | 1 | 0 | 5—1 | 7 |
| „დინამო" (ბათუმი) | 5 | 2 | 3 | 0 | 6—3 | 7 |
| „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) | 5 | 3 | 1 | 1 | 7—5 | 7 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 5 | 3 | 1 | 1 | 6—4 | 7 |
| „ვოლგარი" (ასტრახანი) | 5 | 2 | 3 | 0 | 4—2 | 7 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 5 | 3 | 0 | 2 | 10—4 | 6 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 4 | 2 | 2 | 0 | 4—2 | 6 |
| „ზვეზდა" (პერმი) | 5 | 2 | 2 | 1 | 3—3 | 6 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 5 | 1 | 3 | 1 | 6—5 | 5 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 5 | 1 | 3 | 1 | 2—2 | 5 |
| „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) | 5 | 1 | 2 | 2 | 6—8 | 4 |
| „მეტალურგი" (მაგნიტოგორსკი) | 5 | 1 | 2 | 2 | 6—8 | 4 |
| „სპარტაკი" (იოშკარ-ოლა) | 4 | 1 | 1 | 2 | 5—5 | 3 |
| „ფოლადი" (სუმგაითი) | 5 | 1 | 1 | 3 | 2—4 | 3 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 5 | 0 | 3 | 2 | 1—4 | 3 |
| „ზენიტი" (იჟევსკი) | 5 | 0 | 3 | 2 | 0—5 | 3 |
| „ტორპედო" (ტაგანროგი) | 4 | 1 | 0 | 3 | 1—3 | 2 |
| „ვოლგა" (გორკი) | 4 | 0 | 2 | 2 | 1—4 | 2 |
| „ვოლგა" (ულიანოვსკი) | 5 | 1 | 0 | 4 | 5—9 | 2 |
| „სტროიტელი" (უფა) | 5 | 0 | 2 | 3 | 3—9 | 2 |

## სსრ კავშირის პირველობა




## „ბ" კლასი

მორიგი ტურის მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ" კლასის რსფსრ-ს III ზონაში რუსთავის „მეტალურგს" ჰქონდა ნახიჭევანში, ადგილობრივ „არაზთან".

რუსთაველმა ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს—2:1.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# 80:75, 70:78

### თბილისის „დინამოს" ბოლო შეხვედრები

**კაუნასი, 29 აპრილი.** სსრ კავშირის ჩემპიონმა — თბილისის „დინამომ" წლევანდელი პირველობა ადგილობრივ „ჟალგირისთან" ორი მატჩით დაამთავრა. მეტად დაძაბული, ამაღელვებელი ბრძოლით აღინიშნა პირველი შეხვედრა. ტაიმი მოიგეს 2 ქულით მასპინძლებმა — 39:37. შესვენების შემდეგ დაწინაურდა „დინამო", მაგრამ ბოლო წუთზე „ჟალგირისმა" გაათანაბრა ანგარიში — 70:70. დაინიშნა დამატებითი 5 წუთი, რომელშიც სტუმრების უპირატესობა აშკარა იყო. სსრ კავშირის ჩემპიონმა გაიმარჯვა ანგარიშით 80:75.

მეორე დღეს „ჟალგირისი" სარევანშოდ იყო განწყობილი, მაგრამ თამაშს თავდაპირველად მისთვის სახეირო პირი არ უჩანდა: პირველი ნახევარი მოიგეს დინამოელებმა — 34:29. მაგრამ შესვენების შემდეგ თავი იჩინა სტუმრების დაღლილობამ. მასპინძლებმა ისარგებლეს ამით, ხელთ იგდეს ინიციატივა და სსრ კავშირის ახალ ჩემპიონს პირველი მარცხი მიაყენეს — 78:70.

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (თბილისი) | 44 | 31 | 13 | 3268—3063 | 31 |
| ასკ (კიევი) | 44 | 29 | 15 | 3028—2839 | 29 |
| ცსკა | 44 | 28 | 16 | 2936—2762 | 28 |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 44 | 26 | 18 | 3165—3103 | 26 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 44 | 25 | 19 | 2889—2814 | 25 |
| „კალევი" (ტარტუ) | 44 | 23 | 21 | 2884—2803 | 23 |
| ვეფ (რიგა) | 44 | 23 | 21 | 3128—3053 | 23 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 42 | 20 | 22 | 2904—2894 | 20 |
| ასკ (რიგა) | 42 | 19 | 23 | 3065—3064 | 19 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 44 | 19 | 25 | 2833—2836 | 19 |
| „ურალმაში" * (სვერდლოვსკი) | 44 | 10 | 34 | 3026—3390 | 10 |
| „ბურევესტნიკი" (ბაქო) | 44 | 9 | 35 | 3280—3767 | 9 |

## მიზანი — ახალი სისტემა

„შრომითი [illegible] ცენტრალურ საბჭოსთან" ორ წელიწადზე მეტია შეიქმნა სამეცნიერო მეთოდური საბჭო, რომელიც ნაყოფიერ კვლევით მუშაობას ეწევა. ახლახან საბჭომ მორიგი პლენუმი თბილისში ჩაატარა.

პლენუმზე საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს მეთოდური საბჭოს თავმჯდომარემ, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ვ. ბელინოვიჩმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური აღზრდის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროფესორმა, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა ს. კისელიოვმა, ფიზკულტურის საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგემ, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ი. ოსიპოვმა, ამავე ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმუშაკმა, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ტ. ზელდოვიჩმა, ორეხოვო-ზუევოს პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის კათედრის გამგემ, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ა. გორშაკოვმა, ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის უფროსმა მასწავლებელმა ა. ზინკოვსკიმ, ტანვარჯიშის საკავშირო ფედერაციის პასუხისმგებელმა მდივანმა ლ. ილინმა და სხვ.

მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის გამოცდილება გაუზიარა მსმენელთ თბილისის მ. თოიძის სახელობის მე-11 პროფტექნიკური სასწავლებლის ფიზაღზრდის მასწავლებელმა კ. გირგიდოვმა.

ჩვენ ვთხოვეთ „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს გ. კირვალიძეს რამდენიმე სიტყვა ეთქვა პლენუმის მუშაობაზე.

— სამეცნიერო მეთოდური საკავშირო საბჭოს მთავარი მიზანია პროფტექნიკური სასწავლებლებისთვის 1970 წლამდე შეიმუშაოს მეცნიერულ საფუძველზე დამყარებული ფიზიკური აღზრდის ახალი სისტემა და, აქედან გამომდინარე, მოამზადოს სასწავლო პროგრამები, — გვითხრა გ. კირვალიძემ.—პლენუმმა ექსპერიმენტული გამოკვლევის ბევრი კონკრეტული შედეგი განიხილა. საბჭო მიზნად ისახავს საწარმოო ტანვარჯიშის სპეციალური კომპლექსის შემუშავებასაც პროფტექნიკური სასწავლებლების ცალკეული პროფესიების შესაბამისად.

პლენუმზე დაისვა ამიერკავკასიის სამეცნიერო მეთოდური საბჭოს ბიუროს შექმნის საკითხი. ბიურო ჩაატარებს სამეცნიერო კვლევას მოძმე რესპუბლიკების სასწავლებლებში.

**თ. ბაჩეჩილაძე.**

## საქართველოს პირველობა ფეხბურთში

შედგა მორიგი ტურის მატჩები.

● „სულორი" (ვანი) — „ქართლი" (გორის რაიონი) 2:0. მსაჯი გ. პოლოხიანი (სოხუმი).

● ასკ (თბილისი)—„აერო" (გალი) 5:0. მსაჯი რ. გუდაძე (თბილისი).

მატჩის შედეგი ერთობ მოულოდნელია, ვინაიდან გალელებს სატურნირო ცხრილში ამ დროისთვის II ადგილი ეკავათ. პირველი ტაიმი მიმდინარეობდა ისე, როგორც მოსალოდნელი იყო — დაძაბულ ბრძოლაში, და დამთავრდა არმიელთა მინიმალური გამარჯვებით — 1:0 (ცირეკიძე). შემდგომში თბილისელებმა მკვეთრად გააძლიერეს იერიში და „აეროს" რიგებში სრულმა დაბნეულობამ იჩინა თავი. იმავე ცირეკიძემ, ლობზევმა (2) და საფაროვმა ანგარიში აიყვანეს 5:0-მდე.

● „ნარინჯი" (ბათუმის რაიონი) — „ისანი" (თბილისი) 1:1. მსაჯი ა. იზრაელაშვილი (ფოთი).

● „გარეჯი" (საგარეჯო)—„მშენებელი" (სიღნაღი) 2:0. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).

საგარეჯოელმა ფეხბურთელებმა ჭიაბერაშვილმა და ბეზარაშვილმა ჯერ კიდევ პირველ ტაიმში გაიტანეს თითო გოლი სიღნაღელთა კარში. შესვენების შემდეგ ანგარიში აღარ შეცვლილა.

● „ფეიქარი" (წულუკიძე) — „არაგვი" (მცხეთა) 2:1. მსაჯი გ. მოსესოვი (თბილისი).

სტუმრებმა ენერგიულად დაიწყეს თამაში და მე-20 წუთზე საქუაშვილმა ბურთიც გაიტანა. მაგრამ მცხეთელებმა ვერ შეძლეს წარმატების შენარჩუნება. ანგარიში გაქვითა ჩარგეიშვილმა, რის შემდეგ მანაგაძემ გამარჯვება მოუტანა „ფეიქარს".

● „ლაითური" (მახარაძე) — „სპარტაკი" (ბორჯომი) 1:2. მსაჯი ვ. შახნაზაროვი (თბილისი).

● „ლოკომოტივი" (სამტრედია) —„მეტალურგი" (ზესტაფონი) 0:1. მსაჯი ზ. თოდაძე (ქუთაისი).

● „კოლხეთი" (ცხაკაია) — „სინათლე" (თბილისი) 1:1. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

თამაში მიმდინარეობდა ცოცხლად, სწრაფ ტემპში. პირველ წარმატებას 25-ე წუთზე მიაღწიეს ცხაკაიელებმა (ინჯგია). თბილისელებმა ტაიმის დასასრულამდე შეძლეს საპასუხო ბურთის გატანა და, მიუხედავად თავიანთი შემდგომი უპირატესობისა, დასჯერდნენ ფრეს.

• • •

● გაიმართა გადატანილი შეხვედრებიც: ერთნაირი ანგარიშით (1:1) დამთავრდა 3 მატჩი: „ლაითური" (მახარაძე) — „სულორი" (ვანი), „ფეიქარი" (წულუკიძე) — „ლოკომოტივი" (სამტრედია), „აერო" (გალი) — „კოლხეთი" (ცხაკაია).

### I ჯგუფის II ქვეჯგუფი

#### I ზონა

„შირაქი" (წითელწყარო) — „მეტალურგი" (რუსთავი) 2:0, „ჰერეთი" (ლაგოდეხი) — „თრიალეთი" (წალკა) 3:0, „არაგვი" (დუშეთი) — „კოლმეურნე" (მარნეული) 1:1, „გარისი" (თეთრი წყარო) — „განთიადი" (კასპი) 3:1, „ზემო ქართლი" (ხაშური)— „ელმავალმშენი" (თბილისი) 2:0, „ფარვანა" (ბოგდანოვკა) — „სამგორი" (გარდაბანი) 1:1.

#### II ზონა

„რიწა" (გუდაუთა) — „იმერეთი" (თერჯოლა) 2:1, „კოლხეთი" (ხობი) — „განახლება" (ადიგენი) 3:1, „განთიადი" (აბაშა) — „ჩიხურა" (საჩხერე) 1:0, „ელექტრიკოსი" (ქუთაისი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 1:1, „საირმე" (მაიაკოვსკი)—„დინამო" (ოჩამჩირე) 2:2, „მშენებელი" (ჭიათურა) — „განთიადი" (ტყიბული) 1:3, „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) — „კოლხეთმშენი" (ფოთი) 1:1, „მეშახტე" (ტყვარჩელი) — „სამგურალი" (წყალტუბო) 0:1.

### I ჯგუფის I ქვეჯგუფის გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 1 მაისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 10 | 6 | 2 | 2 | 13—7 | 14 |
| „სპარტაკი" (ბორჯომი) | 8 | 5 | 3 | 0 | 17—8 | 13 |
| „სინათლე" (თბილისი) | 9 | 5 | 3 | 1 | 10—4 | 13 |
| „სულორი" (ვანი) | 10 | 5 | 3 | 2 | 12—9 | 13 |
| „აერო" (გალი) | 10 | 5 | 3 | 2 | 15—13 | 13 |
| ასკ (თბილისი) | 9 | 3 | 5 | 1 | 17—6 | 11 |
| „კოლხეთი" (ცხაკაია) | 9 | 3 | 5 | 1 | 19—9 | 11 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 9 | 4 | 3 | 2 | 12—7 | 11 |
| „ფეიქარი" (წულუკიძე) | 10 | 4 | 3 | 3 | 16—17 | 11 |
| „დურუჯი" (ყვარელი) | 7 | 5 | 0 | 2 | 15—6 | 10 |
| ფიზკულტურის ინსტ. (თბილისი) | 8 | 4 | 2 | 2 | 14—9 | 10 |
| „მშენებელი" (სიღნაღი) | 8 | 2 | 3 | 3 | 8—11 | 7 |
| „გარეჯი" (საგარეჯო) | 9 | 3 | 1 | 5 | 10—13 | 7 |
| „ნარინჯი" (ბათუმის რაიონი) | 9 | 2 | 3 | 4 | 9—14 | 7 |
| „ისანი" (თბილისი) | 10 | 2 | 2 | 6 | 8—20 | 6 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 6 | 2 | 1 | 3 | 7—11 | 5 |
| „ლაითური" (მახარაძე) | 9 | 1 | 3 | 5 | 7—14 | 5 |
| „კოლმეურნე" (წალენჯიხა) | 8 | 1 | 3 | 4 | 6—16 | 5 |
| „არაგვი" (მცხეთა) | 6 | 2 | 0 | 4 | 7—9 | 4 |
| „სამცხე" (აწყური) | 6 | 1 | 2 | 3 | 6—7 | 4 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 8 | 1 | 2 | 5 | 6—12 | 4 |
| „ქართლი" (გორის რაიონი) | 8 | 0 | 2 | 6 | 1—13 | 2 |

## რაიონებში

### ◆ ყვარელი

დამთავრდა „კოლმეურნის" რაისაბჭოს პირველობა ფეხბურთში. 8 მონაწილე გუნდიდან ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ყვარლის ქინძმარაულის საბჭოთა მეურნეობისა და მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის გუნდები. ანგარიშით 7:2 გაიმარჯვა „ქინძმარაულმა".

**გ. გოგინაშვილი.**




**საქართველოს ვაჟთა საჭადრაკო პირველობაში 7 ტურის შემდეგ ლიდერობენ: თ. ლომაია — 6,5 ქულა, ბ. გურგენიძე — 5,5 (1), ა. ბოკუჩავა—5,5, რ. ჯინჯიხაშვილი — 4,5 (2), ზ. მიქაძე, ზ. კალატოზიშვილი — 4,5-4,5 (1-1).**

# ცაიტნოტი და შეცდომები

**VII ტური.** ხ. მეგრელიშვილი — ბოკუჩავა 0:1, ა. ბრეიტმანი (ტყვარჩელი) — გ. მუკნიაშვილი (გორი) 0:1, თ. გიორგაძე — ე. უბილავა 0:1, მ. არჩვაძე (სამტრედია) — ლომაია 0:1.

ჭადრაკში რაციონალური აზროვნების მეთოდებზე ბევრჯერ დაწერილა. მოთამაშეები შეძლებისდარად ცდილობენ თავი დააღწიონ ცაიტნოტს, მაგრამ როგორ მოიქცე, როცა ბრძოლაში წამოჭრილი პრობლემები სწორ გადაჭრას მოითხოვენ? ამ დროს წუთები თვალსა და ხელს შუა ილევა.

ასე მოხდა ლიდერების კალატოზიშვილ — გურგენიძის შეხვედრაში. სიცილიურ დაცვაში გურგენიძის წინაშე თავიდანვე უამრავი ამოცანა წამოიჭრა. ჯერ ერთი დასძლია, მერე მეორე, მესამე... ბოლოს, კი, მოახლოებულ ცაიტნოტში, ოსტატი შეცდა და უპაიკოდ დარჩა. დაიღალა კალატოზიშვილიც. მან უკვე მძვინვარე ცაიტნოტში დაკარგა „ნაჩუქარი" პაიკი, მაგრამ უკეთესი პოზიციის შენარჩუნება მაინც შეძლო. პარტია გადაიდო.

ცაიტნოტში დამარცხდა გიორგაძე: უბილავამ უხეიროდ ითამაშა მიტელშპილში და პაიკიც წააგო. შეხვედრის ბედი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ცაიტნოტმა თავისი „ბნელი საქმე" გააკეთა. გიორგაძის ფიგურებს თავგზა დაებნათ, ჯერ ზედმეტი პაიკი ვერ დაიცვეს, მერე კუც წააგეს.

ბოკუჩავამ მეგრელიშვილს შუა თამაშში აჯობა და ხარისხიც მოიგო. მაგრამ შემდგომ, ცაიტნოტში, მეგრელიშვილმა ისე შეუტია ბოკუჩავას მეფის ფრთას, რომ ოსტატი განსაცდელში ჩავარდნილ გვირგვინოსანს მხოლოდ ერთადერთი სვლებით შველოდა.

ეს ყველაფერი ცაიტნოტის ბრალია. მაგრამ როგორ ავხსნათ ჯინჯიხაშვილისა და არჩვაძის შეცდომები? საქართველოს ჩემპიონი თამაშის დასაწყისშივე მიამიტი კომბინაციის ანკესზე წამოეგო: კუში ეტლი და პაიკი წააგო. მას რომ თოთლაძის მაგიერ სხვა მეტოქე ჰყოლოდა, მარცხს ვერ ასცდებოდა. გორელი მოჭადრაკე პირველად თამაშობს „უმაღლეს დონეზე" და უხერხულად გრძნობს თავს, თუმცა სხვა დროს ჯინჯიხაშვილს არც ის დატოვებდა დაუსჯელად. ახლა პარტია თანაბარ პოზიციაში გადაიდო. სამაგიეროდ, ლომაია მსგავს შეცდომას არავის აპატიებს. და არც აპატია ახალბედა არჩვაძეს, რომელმაც უხეში შეცდომით მე-16 სვლაზე კუ წააგო.

ასე რომ, შეცდომები მუდამ ცაიტნოტის სინდისზე როდია. მოჭადრაკეებიც სცოდავენ. რატომ მიყავთ საქმე აქამდე? განა არ შეიძლება სწრაფი თამაში? (მხოლოდ არა ისე, როგორც ამ დღეს ჯინჯიხაშვილმა ითამაშა). ცაიტნოტის სენისგან განკურნება შეუძლებელი არ არის. ამის ნათელი მაგალითია ამერიკელი დიდოსტატი ს. რეშევსკი. ადრე იგი დიდი „მეცაიტნოტე" გახლდათ, ტუნისის საზონათშორისო ტურნირში კი მოფიქრების დრო ერთხელაც არ დაჰკლებია.

**თ. გიორგაძე.**

## საბჭოთა სპორტსმენები — საზღვარგარეთ

# გამარჯვების ექო

**როგორც ვიტყობინებოდით, სსრ კავშირის ტანმოვარჯიშეთა გუნდებმა წარმატებით დაამთავრეს ასპარეზობა უცხოეთში. დღეს უფრო დაწვრილებით გაგაცნობთ უნგრეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტანმოვარჯიშეებთან მათი შეხვედრების მსვლელობას და შედეგებს.**

ბუდაპეშტი, 29 აპრილი. სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა მატჩი მოუგო უნგრეთის ტანმოვარჯიშეებს — 384,65:376,65. პირად ჩათვლაში პირველი იყო საბჭოთა სპორტსმენი ლარისა პეტრიკი.

უნგრეთის სპორტულმა საზოგადოებრიობამ დიდი ინტერესი გამოიჩინა საბჭოთა ტანვარჯიშის ვარსკვლავებისადმი, რომელთა შორის, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, იყვნენ „მსოფლიო მნიშვნელობის“ სპორტსმენები — ნ. კუჩინსკაია, ზ. ვორონინა და ლ. პეტრიკი. მაყურებლები სტუმრების საწვრთნელ ვარჯიშებსაც კი ესწრებოდნენ. შეჯიბრების დღეს ბუდაპეშტის „შპორტჩარნოკის“ დარბაზში ნემსი არ ჩავარდებოდა.

მატჩის დაწყებისთანავე საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა. იყო დრამატული სენსაციებიც. საბჭოთა გუნდის ლიდერმა კუჩინსკაიამ ორჯერ იწვნია მარცხი დვირზე სავალდებულო და ნებისმიერ პროგრამაში. ლიდერობა ხელთ იგდეს და ფინალამდე შეინარჩუნეს მისმა მეგობრებმა — პეტრიკმა და ვორონინამ.

შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა სსრ კავშირის ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა წევრმა ლ. ბურდამ. 15 წლის ვორონეჟელმა მოსწავლემ III ადგილი დაიკავა.

უნდა აღინიშნოს, რომ უნგრეთის გუნდში არ გამოდიოდნენ გამოცდილი ტანმოვარჯიშეები ა. დუცა, კ. მიულერი და მ. ტრეშელი. მათმა თანაგუნდელებმა კ. მაკრაიმ, მ. ოროშიმ, ა. ბანფაიმ, მ. ტოლნაიმ, აგრეთვე, ნაკრების დებიუტანტებმა ბეკეშიმ და კუტაშმა ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს სტუმრებს. სავალდებულო პროგრამით შეჯიბრებაში მათ მხოლოდ 2,9 ქულა დათმეს. ბანფაი და მაკრაი პირადი ჩათვლის შედეგებით პირველ ექვსეულში მოხვდნენ.

აი, ეს ექვსეულიც: პეტრიკი — 77,75, ვორონინა — 76,90, ბურდა — 76,15, ბანფაი — 75,95, კუჩინსკაია — 75,90, მაკრაი — 75,85.

შვერინი, 29 აპრილი. სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებმა დაამარცხა გდრ-ის ტანმოვარჯიშეები — 576,75:570,05 ქულა. პირად ჩათვლაში ქულათა უკეთესი ჯამი აქვს მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონს ვორონინს. მომდევნო სამი ადგილიც საბჭოთა სპორტსმენებს ხვდათ.

— გდრ-ის ძლიერ და სწრაფად მზარდ ტანმოვარჯიშეებთან შეხვედრა ჩვენთვის ოლიმპიადის წინ ძალთა შემოწმების ერთ-ერთი ეტაპი იყო, — თქვა სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ვ. მურატოვმა. — ევროპელ ტანმოვარჯიშეებთან გამარჯვება ამასწინანდელ ამხანაგურ შეხვედრებში რწმენას გვმატებს მეხიკოს ოლიმპიადის წინ, სადაც ჩვენი მთავარი მეტოქე იაპონიის ნაკრები იქნება.

მატჩის ტექნიკური შედეგები: 1. მ. ვორონინი — 116,75 ქულა, 2. ვ. ლისიცკი — 115,70, 3. ვ. კლიმენკო — 115,00, 4. ს. დიომიდოვი (ყველა — სსრ კავშირი) — 114,75, 5. ზ. ფიულე (გდრ) — 114,45, 6. მ. ბრიომე (გდრ) — 114,05.

# კიდევ ერთი წარმატება

**ჟენევა, 29 აპრილი.** შვეიცარიის ჩემპიონთა 5 ტიტულიდან 4 მოიპოვეს პატარა ჩოგნის საბჭოთა ოსტატებმა, რომლებიც აქ ლიონის ევროპულ პირველობაში გამარჯვების შემდეგ გამოვიდნენ.

მოსკოველმა ა. ამელინმა ვაჟებში ყველას აჯობა — ნახევარფინალში დაამარცხა კონტინენტის ახალი ჩემპიონი, იუგოსლავიელი დ. შურბეკი (3:0), ფინალში კი ჩეხოსლოვაკიელი ი. სტანეკი — 3:1.

ქალთა შეჯიბრების ფინალი „საბჭოური“ აღმოჩნდა. სსრ კავშირის ჩემპიონმა, კონტინენტის მეორე ჩოგანმა ზ. რუდნოვამ დაამარცხა კიეველი ს. გრინბერგი — 3:2. ისინი საუკეთესონი აღმოჩნდნენ ქალთა წყვილებში. მოსკოველებს ს. გომოზკოვსა და ა. ამელინს ტოლი არ ჰყავდათ ვაჟებში.

უცხოელებმა მხოლოდ შერეულ წყვილთა შეჯიბრებაში მოიპოვეს წარმატება: ჩეხოსლოვაკიელებმა მ. ლუჟკოვამ და ვ. მიკომ გადამწყვეტ შეხვედრაში მოუგეს ევროპის ჩემპიონებს რუდნოვასა და გომოზკოვს — 3:2.

შვეიცარიის გაზეთები აღნიშნავენ საბჭოთა სპორტსმენების წარმატებას და წერენ, რომ მათ მეტოქეთა შორის ბევრი იყო ევროპის ბოლო ჩემპიონატის პრიზიორი. „სიუისი“ წერს, რომ საბჭოთა სპორტსმენები „დამსახურებულად დომინირებდნენ შვეიცარიის ღია პირველობაში“.

# აშკარა უპირატესობით

ბონი, 30 აპრილი. გფრ-ის მოცურავეთა ღია ჩემპიონატში, რომელიც ადგილობრივ 25-მეტრიან აუზში ჩატარდა, აშკარა იყო სსრ კავშირის სპორტსმენთა უპირატესობა. 18 ქვეყნის წარმომადგენლებთან ბრძოლაში მათ პროგრამის 24 სახეობიდან 17 მოიგეს, თანაც, ამდენივე საკავშირო რეკორდი დაამყარეს.

საბჭოთა კავშირის მოცურავეებმა განსაკუთრებით წარმატებით ბოლო დღეს იასპარეზეს — ფინალებში ყველა დისტანცია ახალი რეკორდით მოიგეს. მსოფლიო რეკორდსმენმა ნ. პანკინმა (მოსკოვი) 200 მეტრზე ბრასით 2.22,4 აჩვენა, მისმა თანაქალაქელმა, ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონმა გ. პროზუმენშჩიკოვამ კი 100 მეტრზე ამავე სტილით ასპარეზობა მოიგო — 1.14,6. 200 მეტრზე ცურვაში უძლიერესნი იყვნენ: გულაღმა — ტ. საველიევა (ლენინგრადი) — 2.27,9, ბატერფლაით — ს. კონოვი (ტაშკენტი) — 2.07,5, კომპლექსურ ცურვაში — ლ. ზახაროვა (პერმი) — 2.29,3.

ს. ბელიც-გეიმანმა (მოსკოვი) 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში თავისივე რეკორდი გააუმჯობესა — 4.05,6. სსრ კავშირის ვაჟთა გუნდი პირველი იყო თავისუფალი სტილის ესტაფეტაში 4×100 მ — 3.30,6 (მოსკოველმა ლ. ილიჩოვმა პირველი ეტაპი 52,1 წამში გაცურა, რაც ასევე საკავშირო რეკორდია).

200 მეტრზე თავისუფალი სტილით ქალთა ცურვაში პირველობა ახალი ეროვნული რეკორდით წილად ხვდა იუგოსლაველ მ. სეგრტს — 2.12,0.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### 40 საერთაშორისო მატჩი

მექსიკის ფეხბურთის ფედერაციამ დაადგინა 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატამდე ეროვნული ნაკრების მონაწილეობით 40 საერთაშორისო თამაში მოაწყოს.

1969-70 წლების ეროვნულ ჩემპიონატში მექსიკის ნაკრები მონაწილეობას მიიღებს დამოუკიდებელი ერთეულის სახით ფეხბურთელების ერთმანეთთან კარგად შეწყობის მიზნით.

### „ქერათმიანი ნაიკერი“

ასე უწოდებენ ბრაზილიელი ჟურნალისტები სან-პაულუს „პალმეირასის“ ახალ ვარსკვლავს ადემირ და გუიას. 20 წლის ფეხბურთელმა უკვე გაითქვა სახელი თავის ქვეყანაში. ბრაზილიის თასის ფინალში, სადაც „პალმეირასი“ ეთამაშებოდა „რესიფეს“, ადემირმა 2 მშვენიერი გოლი გაიტანა და თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა. „მარაკანას“ სტადიონი მხურვალედ მიესალმა ახალ ვარსკვლავს, რომელიც ეროვნული ნაკრების კანდიდატი გახდა.

ადემირი ცნობილი ფეხბურთელის შვილია. მამამისი — დომინგოს და გუია ბრაზილიელთა ... წევრი იყო მსოფლიო III ჩემპიონატში, რომელიც საფრანგეთში გაიმართა 1938 წელს. სხვა ბრაზილიელებთან ერთად მაშინ მან ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

### „მილანის“ გულშემატკივართა გამოკითხვა

„მილანის“ ხელმძღვანელობამ მოაწყო გუნდის მრავალრიცხოვან გულშემატკივართა გამოკითხვა: „ვინ იყო „მილანის“ საუკეთესო მოთამაშე ბოლო 15 სეზონის მანძილზე?“

კონკურსში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა ცნობილმა ურუგვაელმა ფეხბურთელმა მ. სკიაფინომ. მომდევნო ადგილებზე არიან შვედები ჰ. ნორდალი და ნ. ლიდჰოლმი.

### პელე აქებს ედუს

პელემ ამას წინათ ევროპაში იმოგზაურა და თავისი არდადეგების დღეები გფრ-ში გაატარა. რა თქმა უნდა, ჟურნალისტებმა აქაც არ მოასვენეს იგი. პელემ დაადასტურა, რომ არ მიიღებს მონაწილეობას მორიგ მსოფლიო ჩემპიონატში და „სანტოსში“ იქამდე დარჩება, სანამ შეძლებს რაიმე სარგებლობა მოუტანოს თავის გუნდს.

ილაპარაკა რა მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე, პელემ განაცხადა, რომ მსოფლიოს ექს-ჩემპიონებს დიდი შანსები აქვთ დაიბრუნონ დაკარგული წოდება.

„მექსიკაში უნდა ამობრწყინდეს ედუს ვარსკვლავი“, — განაცხადა პელემ. 18 წლის ედუ დიდი წარმატებით თამაშობს „სანტოსში“ მარცხენა გარემარბად. როგორც ბრაზილიის ნაკრების ხელმძღვანელობას მიაჩნია, ედუ საყოველთაო ყურადღებას მიიპყრობს ევროპაში წლევანდელი გასტროლების დროს. მან ჩინებულად ითამაშა „რვათა ტურნირში“, რომელიც სანტ-იაგოში ჩატარდა.

## მოკლედ

● **რომი.** იტალიის პირველ ლიგაში იმატა უხეშობამ. დღემდე 20-ზე მეტ მოთამაშეს დაატოვებინეს მინდორი, ხოლო „კალიარის“ ცენტრალური თავდამსხმელი ბონინსენია უკვე ორჯერ გააძევეს თამაშიდან.

● **ბოლონია.** „ბოლონიას“ დირექტორატმა გაათავისუფლა მწვრთნელი ლ. კარნილია, ვინაიდან გუნდი ძალიან უხეიროდ გამოდის იტალიის ჩემპიონატში. მის ნაცვლად მოწვეულია ცნობილი მწვრთნელი ჯ. ვიანი, რომელიც ადრე დიდი წარმატებით მუშაობდა „მილანში“.

● **ლონდონი.** ყველაზე უფრო ძვირად დირებული ინგლისელი პროფესიონალი ფეხბურთელი დღეისთვის 23 წლის თავდამსხმელი მ. ჩივერსია, რომლისთვისაც ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურმა“ 125 ათასი გირვანქა სტერლინგი გადაუხადა „საუთჰემპტონს“.

● **რიო-დე-ჟანეირო.** ბრაზილიის ნაკრებს მთავარ მწვრთნელ ა. მორეირასთან ერთად ამიერიდან სათავეში უდგას საკონსულტაციო საბჭოც, რომლის შემადგენლობაში არიან აველანჟე, ალმეიდა და ბრავა. ახლა ბრაზილიის ნაკრების ხელმძღვანელობა აკომპლექტებს შემადგენლობას ევროპაში ტურნეს წინ.

● **ბუქარესტი.** რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციის დადგენილებით ეროვნულ ჩემპიონატში 1968-69 წლების სეზონიდან 19 გუნდის ნაცვლად ითამაშებს 16.

● **მადრიდი.** „რეალის“ პრეზიდენტმა ს. ბერნაბეუმ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ „დი სტეფანო ფეხბურთის ბრწყინვალე მცოდნეა და შეუძლია ბევრი რამ ასწავლოს თვითეულ მოთამაშეს“. ამასთან, მან დაუმატა, რომ მისთვის გაუგებარია „ელჩესა“ და დი სტეფანოს განხეთქილების მიზეზები.

● **ბონი.** გფრ-ის ფეხბურთის ფედერაციამ დაადგინა, რომ 1968-69 წლებიდან უმაღლეს ლიგაში (ბუნდესლიგა) 18-ს ნაცვლად 20 გუნდი ითამაშებს.

თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა ხელბურთელთა ტურნირი „კავკასიის თასზე“. თბილისის გოგონათა და ქალთა გუნდებმა I ადგილები მოიპოვეს და თასებიც დაისაკუთრეს. ბოლო ტურის შედეგები ასეთია: გოგონები. ერევანი — სტავროპოლი 12:6 (2:2), თბილისი — როსტოვი 10:9 (6:6); ქალები. როსტოვი — ერევანი 22:8 (8:3), თბილისი — კრასნოდარი 25:5 (13:5). გუშინწინდელი მატჩები ასე დამთავრდა: გოგონები. როსტოვი — სტავროპოლი 12:8 (4:4), თბილისი — ერევანი 27:6 (11:2); ქალები. ერევანი — კრასნოდარი 17:13 (8:5), თბილისი — როსტოვი 14:14 (7:9).

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა 4 მაისს.

**რედაქტორი მ. კაკაბაძე.**

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

**ჭადრაკი.** ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). 1-12 მაისი. საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი. დასაწყისი 16 ს.

**ფეხბურთი.** სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასი. „დინამოს“ სტადიონი. 2 მაისი. „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (კიროვაბადი). ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 17 ს. 45 წ. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 3 მაისი. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ტორპედო“ (ტაგანროგი). ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 18 ს.

**ჩოგბურთი.** „დინამოს“ კორტები (სანაპიროს ქ. № 21). 3-5 მაისი. დევისის თასის გათამაშება. I წრე. სსრ კავშირი — საბერძნეთი. დასაწყისი 14 ს.



# საწყლოსნო თხილამურებით ...აბაზანაში

**საწყლოსნო თხილამურები სულ უფრო პოპულარული ხდება. ლონდონის სპორტული საქონლის ფირმებმა კარგად გამოიყენეს ამ სახეობისადმი ინტერესი.**

ინგლისში გამოჩნდა სიახლე — აბაზანა საწყლოსნო თხილამურებით სრიალისთვის. ვისაც ფლორიდაში გასამგზავრებლად ფული არ ჰყოფნის, შეუძლია საათში ხუთ დოლარად ისიამოვნოს და საწყლოსნო თხილამურებით გაერთოს... აბაზანაში, რომელშიც ჰაერის წნევის ქვეშ დაჭირხნილი ნაკადის მეშვეობით ნამდვილი ტალღები იქმნება.

„ლონდონში, — იუწყება დასავლეთგერმანული ჟურნალი „კვიკი“, რომლის ფურცლებიდანაც ეს სურათი გადმოვბეჭდეთ, — უკვე არსებობს რამდენიმე ასეთი აბაზანა. ილუზიის სისრულისთვის მოთხილამურეს წინ უდგას ეკრანი, რომელზეც უჩვენებენ ფილმს ფლორიდის სანაპიროზე, მის პლაჟებსა და ყურეებზე.

ამ სიახლის გამომგონებლები რეკლამის დროს ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ აბაზანის გამოყენება მარტო გართობის მიზნით როდი შეიძლება: აბაზანა მთელი წლის მანძილზე წვრთნის შესაძლებლობას მისცემს ამ სახეობის მოყვარულებს, სპორტსმენებს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 03223